აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2019 წლის 9 თვეში გატარებული ღონისძიებების შესახებ

2019 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა **3**

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2019 წლის 01 ოქტომბრისათვის 3

ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 4

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2019 წლის 01 ოქტომბრისათვის 5

დიაგრამა № 3: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2019-2018 წ.წ. 01 ოქტომბრისათვის 5

სოციალური სფერო **16**

ჯანდაცვა *16*

განათლება, კულტურა, სპორტი *23*

ეკონომიკის სფერო **28**

ბიზნეს სექტორი *28*

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2019/9 თვე-2018/9 თვე მოქმედ ფასებში

პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება *29*

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2019/9 თვე-2018/9 თვე 30

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2019/9 თვე-2018/9 თვე 30

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები **31**

აგრარული სექტორი **33**

საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი *33*

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება **36**

გეოლოგია **39**

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი **40**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი **43**

დიაგრამა №7: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2019/9 თვე 43

დიაგრამა №8: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2019/9თვე-2018/9თვე პერიოდში 44

დიაგრამა№9: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2019/9თვე-2018/9თვე 44

დიაგრამა № 10: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2019/ 9 თვე-2018/9 თვე 44

ცხრილი №2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2019/9 თვე 45

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2019 წლის 9 თვის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2019 წლის 01 ოქტომბრისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 246 913-ს, მათ შორის ქ. თბილისში – 104 582 (42,4%), სამეგრელო-ზემო სვანეთში – 89 687 (36,3%), იმერეთში – 27 386 (11,1%), ქვემო ქართლში – 9 834 (4,0%), აჭარაში – 7 414 (3,0%), სამცხე-ჯავახეთში – 2 251 (0,9%), შიდა ქართლში – 2 324 (0,9%), კახეთში – 1 248 (0,5%), მცხეთა-მთიანეთში – 905 (0,4%), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში – 757 (0,3%), გურიაში – 525 (0,2%). კომპაქტურად ჩასახლებული იყო 25 186 (10,2%), ხოლო კერძო სექტორში – 221 727 პირი (89,8%). მიმდინარე პერიოდისათვის ქვეყნის მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტთა რაოდენობა შეადგენდა 624 ერთეულს. საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდა 21 734 ოჯახს, ანუ 59 092 პირს.

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2019 წლის 01 ოქტომბრისათვის



ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

2019 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით

	რიცხოვნობა			**პროცენტობით ჯამთან**		**არაპრივატიზებული კომპაქტ. ობიექტ. რაოდენობა**
	სულ	მათ შორის		მათ შორის		
		კერძო	კომპ.	კერძო	კომპ.	
სულ	**246913**	**221727**	**25186**	**89,8**	**10,2**	**624**
მათ შორის:						
აღმოსავლეთ საქართველოში	**121144**	**114748**	**6396**	**94,7**	**5,3**	**189**
ქ. თბილისი	104582	99573	5009	95,2	4,8	**147**
ქვემო ქართლი	9834	9446	388	96,1	3,9	**12**
შიდა ქართლი	2324	2095	229	90,1	9,9	**15**
მცხეთა-მთიანეთი	905	817	88	90,3	9,7	**6**
კახეთი	1248	1210	38	97,0	3,0	**5**
სამცხე-ჯავახეთი	2251	1607	644	71,4	28,6	**4**
დასავლეთ საქართველოში	**125769**	**106979**	**18790**	**85,1**	**14,9**	**435**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	89687	76770	12917	**85,6**	**14,4**	**338**
აჭარა	7414	7414	0	**100,0**	**0,0**	**0**
იმერეთი	27386	21651	5735	**79,1**	**20,9**	**88**
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	757	619	138	**81,8**	**18,2**	**9**
გურია	525	525	0	**100,0**	**0,0**	**0**

2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 2 542 პირით (1,0%), მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში 1 354 პირით (1,1%-ით), ხოლო დასავლეთ საქართველოში – 1 188 პირით (1,0%-ით). რეგიონების მიხედვით: ქ. თბილისში – 1 314 იგპ-ით ანუ 1,3%-ით, ქვემო ქართლში 91 იგპ-ით ანუ 0,9%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 532 იგპ-ით ანუ 0,6%-ით, აჭარაში – 371 იგპ-ით ანუ 5,3%-ით, იმერეთში – 283 იგპ-ით ანუ 1,0%-ით, გურიაში - 3 იგპ-ით ანუ 0,6%-ით, კახეთში – 1 იგპ-

ით ანუ 0,3%-ით. დევნილთა რაოდენობა შემცირდა შიდა ქართლში – 7 იგპ-ით ანუ 0,3%-ით, სამცხე-ჯავახეთში – 2 იგპ-ით ანუ 0,1%-ით, მცხეთა-მთიანეთში – 46 იგპ-ით ანუ 4,8%-ით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 1 იგპ-ით ანუ 0,1%-ით.

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2019 წლის 01 ოქტომბრისათვის



დიაგრამა № 3: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2019-2018 წ.წ. 01 ოქტომბრისათვის



2019 წლის 9 თვეში იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქ. თბილისსა და რეგიონებში გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, განხორციელდა პროგრამები.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობების მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით გრძელდებოდა ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა. სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ 2019 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით გამოაცხადა 5 ელექტრონული ტენდერი 9 ობიექტზე თბილისში, ზუგდიდში, ქობულეთში, ქუთაისში, ხონში, ასევე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარსა და დაბა ჩაქვში. გამარჯვებულ კომპანიებთან დაიდო ხელშეკრულებები და დაიწყო შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. გარდა ამისა, დევნილი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, სისტემატურად ხდებოდა რეგიონებში ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სახის პროექტების გასაცნობად. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად გატარებულ იქნა რიგი ღონისძიებები საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტებში „აწარმოე საქართველოში“, „ძლიერი რეგიონები, ძლიერი საქართველო“, „დანერგე მომავალი“ და „მეფუტკრეობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამა“.

საანგარიშო პერიოდში შედგა შეხვედრა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტარატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ დროებით საექსპერტო ჯგუფთან, სადაც განხილულ იქნა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების გეგმასა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებთან დაკავშირებული საკითხი. წარმოდგენილი იყო საგრანტო პროგრამის ახალი კონცეფცია, რომლის თანახმად დევნილებზე, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ ,,სოფლად სახლის'' პროგრამის ფარგლებში შეძენილი აქვთ სახლთან ერთად საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გრანტები გაიცემა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ იგპ-ებს გაეწიათ სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები და დახმარებები. სტუდენტებს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსის აღდგენის) საფასურის ეტაპობრივი გადახდის, გადანაწილებისა და სხვა პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. შედგა შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში განსახლებულ დევნილებთან მათი პრობლემური საკითხების დაფიქსირებისა და გადაწყვეტის მიზნით. სოფლის მეურნეობის განვითარების

ხელშეწყობის მიზნით, შედგა შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნით დაინტერესებულ დევნილებთან, მიეცათ ამომწურავი ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათიანი პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით. ასევე, გაეწიათ დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში. შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაწეულ იქნა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაშიც.

გრძელდებოდა მუშაობა დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხითაც. აღსანიშნავია, რომ ,,ანაკლია სითის“ მიერ მოწონებულ იქნა დეპარტამენტის მიერ შექმნილი პროექტი ანაკლიაში საერთაშორისო დონის იპოდრომის მშენებლობის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია იგპ-თა დასაქმება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის №1 დადგენილების შესაბამისად, შეიქმნა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიები“, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით დადგენილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ორგანიზება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით სოციალური პროექტების დაფინანსება, სოციალური დახმარების კუთხით, გაიზარდა. კერძოდ, 2018 წელს თანხა შეადგენდა 541 100 ლარს, მატებამ შეადგინა 58 900 ლარი და 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 600 000 ლარით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების პროგრამის განხორციელებით, შესაძლებელი გახდა დევნილთათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარება, რაც ჯამში ხელს უწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების მცირედით გაუმჯობესებას. მაგრამ ერთ საცხოვრებელ ობიექტზე გამოყოფილი თანხა (არაუმეტეს 800 ლარი), რომელშიც გათვალისწინებულია როგორც დამქირავებლის ანაზღაურება, ასევე სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო მასალის ღირებულება, ვერ უზრუნველყოფს დევნილთა წინაშე მდგარი პრობლემის ძირეულ მოგვარებას, რადგან საცხოვრებელი ობიექტების უმრავლესობა საჭიროებს მეტი ფინანსური სახსრების მიმართვას, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით. ზემოაღნიშნული პროგრამის ეფექტურობის გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ

საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2019 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტით ინიცირებულ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის მოცულობის ზრდის შესახებ, რაც, შესაბამისად, აისახა კიდეც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს ასიგნებებში 150 000 ლარის ოდენობით. შედეგად, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის 2.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელებს, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, სარემონტო აღდგენით სამუშაოებს და მომსახურებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებს (10 ობიექტი).

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონალურ წარმომადგენლობებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართა 3 887 დევნილმა ბენეფიციარმა და შესაბამისი წარმომადგენლობების კომისიების განხილვის შედეგად, დაკმაყოფილებულ იქნა 3 161 განცხადება და გაცემულ იქნა ფინანსური დახმარება სულ 493 150 ლარის ოდენობით. განხილვას ელოდება 547 განცხადება. უარი ეთქვა 178 განმცხადებელს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნილი შესაბამისი კომისიების მიერ, პროგრამის ფარგლებში (800 ლარი), დაფინანსდა 22 განაცხადი, ხოლო გაცემულმა თანხამ შეადგინა სულ 11 834,40 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მონაცემებით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გაიხარჯა 20 538,17 ლარი, მ.შ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით 5 ოჯახზე გაიცა 7 625,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის

დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ კომისიებში“ შემოვიდა 529 განცხადება. აქედან გაიცა დადებითი 487 დასკვნა, უარი ეთქვა 33 განმცხადებელს, ადმინისტრაციულ წარმოებაშია 7 განცხადება.

გარდა ამისა, ესპანურ საქველმოქმედო ფონდთან ,,FINSOL“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ორგანიზაცია გაეწია საზაფხულო არდადეგების პერიოდში ქ. მადრიდში მოხალისე ოჯახებში აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული ღონისძიებებს. ორთვიანი საზაფხულო არდადეგების შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 20 ბავშვი 2019 წლის 28 აგვისტოს სამშობლოში დაბრუნდა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 17 დადგენილების და გამოქვეყნება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, სისტემატურად ხორციელდებოდა აფხაზეთის მოქმედი კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების სისტემატიზირებული ვერსიების შექმნა, ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სიახლეების განთავსება დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან, დევნილი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსება, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზირება დოკუმენტების შემდგომი გამოყენების მიზნით. 2019 წლის III კვარტლის მდგომარეობით, არქივსაცავში ინახება 54 დაწესებულების საარქივო ფონდი, 1992-2016 წ.წ-ს სულ 8 898 საქმე, აქედან მუდმივად შესანახია 6 116 საქმე, ხოლო ხანგრძლივად - 2 782 საქმე.

ამასთან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პიროვნების დადგენა, სტაჟის დადგენა, უფლების დამდგენ დოკუმენტში შესწორების შეტანა. სარჩელის (განცხადების) პროექტის მომზადებაში დახმარება გაეწიათ ქორწინების აქტის აღდგენის, გარდაცვლილად გამოცხადებისა და სხვა იურიდიული ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით. ყოველკვირეულად მზადდებოდა ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების, ადამიანის უფლებების დარღვევის, პასპორტიზაციისა და ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სულ გაწვეულ იქნა 127, გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 6 წვევამდელმა.

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებას აგრძელებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. კერძოდ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო პალატამ, თავის მეწარმეებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო რეგიონულ ბიზნეს ფორუმში ,,ღია დიალოგი“, რომელიც გაიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის (IHK) აკადემიის პროექტის მხარდაჭერით. საქართველოს რეგიონებიდან და თბილისიდან მოწვეული მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების, კოოპერატივებისა და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებს, საჯარო/კერძო დიალოგის ფორმატში საშუალება მიეცათ ქვეყნის ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია იმ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, რაც მათ საქმიანობის პროცესში ექმნებათ, ასევე მიეღოთ პასუხები მათთვის აქტუალურ კითხვებზე და მთავრობის გეგმებზე;
- მომზადდა და ჩატარდა აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს სხდომა, სადაც არჩეულ იქნა საბჭოს ორი ახალი წევრი. სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული აკადემიის დაფუძნების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ შპს-ების დაფუძნების, აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის შესახებ კატალოგის დაბეჭდვის საკითხები;
- ბათუმში ჩატარებულ მეწარმე ქალთა ეროვნულ ბიზნესფორუმზე წარდგენილ იყვნენ პალატაში გაწევრიანებული ქალი მეწარმეები. ფორუმი მნიშვნელოვანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნესში ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის;
- საგამოფენო კომპლექს Expo Georgia-ში, ჩატარდა ბელორუსული პროდუქციის გამოფენა ,,Made in Belarus“, ასევე გაიმართა ქართულ-ბელორუსული საქმიანი საბჭოს სხდომა. ღონისძიების ფარგლებში, საკუთარი პროდუქცია წარმოადგინა 70-ზე მეტმა ბელორუსულმა კომპანიამ. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს პალატაში გაწევრიანებულმა მეწარმეებმა, რომლებმაც, ღონისძიების ფარგლებში, გამართეს მოლაპარაკებები ბელორუსულ კომპანიებთან;
- დაიწყო მუშაობა კატალოგის დაბეჭდვის კონცეფციაზე. შემუშავდა კატალოგის დაბეჭდვის გეგმა და ფორმა. კატალოგში აისახება აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებული კომპანიების საქმიანობა, საკონქატქო ინფორმაცია და მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოგალერეა. კატალოგი იბეჭდება მიუნხენისა და

ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფინანსური მხარდაჭერით. კატალოგში ასახული ინფორმაცია ხელს შეუწყობს დამწყები მეწარმეების ცნობადობის ამაღლებას და უკვე ცნობილი კომპანიების საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებას;

- პალატამ მონაწილეობა მიიღო რუხის სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე აფხაზეთის დღეების კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც ჩართული იყო საორგანიზაციო საკითხებში და განახორციელა სხვადასხვა აქტივობები. პალატაში გაწევრიანებულმა აფხაზეთიდან დევნილმა მეწარმეებმა წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია;
- პალატის წარმომადგენელი ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთში, ქ. მადრიდში, სადაც მოეწყო შეხვედრები მადრიდის სოფლის მეურნეობის ცენტრის კვლევით ცენტრსა და მეფუტკრეთა ასოციაციაში. მხარეებმა განიხილეს ქართველი მეწარმეების პროდუქციის ესპანურ ბაზარზე გატანის ხელშეწყობის საკითხები. დაიგეგმა მეწარმეთა მონაწილეობა გამოფენებში და ქართველის სტუდენტებისათვის ესპანეთში სტაჟირების გავლის შესაძლებლობები პროფესიული განათლების კუთხით. დაიგეგმა, ასევე, მადრიდის კვლევით ცენტრში სოფლის მეურნეობის ქართულ პროდუქციაზე ლაბორატორიული ანალიზების აღება ხარისხის კონტროლის, ევროპული სტანდარტებისა და სერტიფიცირების მიზნით;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაში - ქართულ-გერმანული განათლების დღეები;
- პალატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სემინარზე თემაზე ,,ბიზნესი და განათლება“, რომელიც ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში. აგრეთვე, დაესწრნენ სემინარს ,,ჰონგ-კონგში არსებული პოტენციალი ღვინის ვაჭრობასა და ლოჯისტიკაში“, რომელიც მოეწყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჰონგ-კონგის სავაჭრო განვითარების საბჭოს ორგანიზებით.
- პალატაში გაწევრიანებულმა მეწარმეებმა და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებზე თემაზე:
  - ,,ციფრული მარკეტინგი“ - ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ;
  - ,,როგორ გავზარდოთ მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაბამისობა პროდუქტის უსაფრთხოების ევროკავშირის რეგულაციებთან“ - ჩატარდა ,,მცირე და საშუალო მეწარმეთა შესაბამისობის პროგრამის დანერგვის“ ფარგლებში, ბრიტანეთის

მთავრობის კარგი მმართველობის ფონდის მხარდაჭერით. ტრენინგს უძღვებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატამ, საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის ,,ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და მისი კომპონენტის ,,აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გზით, კონფლიქტის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული მოსახლეობის დაახლოების მიზნით, დაიწყო კონკრეტული აქტივობები. კერძოდ, იმ ადამიანების გამოვლენა, ვისაც სურს ერთობლივი ბიზნეს ურთიერთობების დამყარება გამყოფი ხაზების მიღმა მცხოვრებ მეწარმეებთან. სოფელ რუხის ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფ ზოლთან, საინფორმაციო და სპეციალური ეკონომიკურ საკითხების შესწავლის მიზნით, მივლინებულ იყვნენ პალატის თანამშრომლები, რომლებიც დაეხმარნენ პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს კომერციული საქმიანობისათვის პროექტების შედგენაში.

გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ თბილისში, რიყის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამართა უკვე ტრადიციად ქცეული გამოფენა-გაყიდვა ,,აფხაზეთი 2019“, სადაც მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 50-მდე მეწარმემ. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებსა და დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ და შეეძინათ აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქცია. პალატამ სტუმრებს შესთავაზა გასართობი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდებმა. გამოფენის მონაწილე მეწარმეებს და მოსულ სტუმრებს დაურიგდათ პალატის მიერ დაბეჭდილი ბიზნეს კატალოგები.

ასევე, ჩატარებული კვლევის ,,საქართველოში დევნილთა საკვნაძო დასახლებებში მცირე და საშუალო დონის ბიზნესის განვითარების საჭიროებები“ საფუძველზე, პალატამ შეიმუშავა პროექტი ,,ბიზნეს იდეიდან ბიზნესამდე“, რომლის ფარგლებშიც ქ. ქუთაისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარბგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანადგომითა და გერმანიის მთავრობის საპარტნიორო პროექტის kVP 772 დაფინანსებით ჩაატარა 3-დღიანი ტრენინგი ბიზნეს გეგმისა და საგრანტო განაცხადის შევსებაზე იმერეთის რეგიონში მცხოვრები იგპ-თვის. მსმენებლებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოში არსებული საგრანტო პროექტების შესახე, განიხილეს მათი ბიზნეს იდეის შესაბამისობა საგრანტო პროექტებთან, გაეცნენ ბიზნეს გეგმის არსს და აპლიკაციის შევსების სტრუქტურას, შეადგინეს საკუთარი ბიზნეს მოდელი.

საანგარიშო პერიოდში პალატაში გაწევრიანდა 20-ზე მეტი მეწარმე სუბიექტი. დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები პალატაში გაწევრიანებულ მეწარმეთათვის პალატის საქმიანობისა და სერვისების გაცნობის მიზნით.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით აქტიური მუშაობა ჩატარდა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში:

- აპარატი მონაწილეობდა დიასპორებთან ურთიერთობის სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელ უწყებათაშორისი საბჭოს საქმიანობაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად;
- ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური ერსპუბლიკის მინისტრის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო ქ. ფლორენციაში ,,რომულადო დელ ბიანკოს საერთაშორისო ფონდის“ ორგანიზებით გამართულ სიმპოზიუმსა და 21-ე საერთაშორისო გენერალურ ასამბლეაში სახელწოდებით ,,კულტურული მემკვიდრეობა, როგორც მშვიდობის მშენებელი“, სადაც წარსდგა მოხსენებით ,,ინტერკულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის გამოწვევები და პერპსექტივები პლანეტა დედამიწისათვის, საქართველოს მაგალითზე“. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები, სადაც გამოითქვა რამდენიმე ერთობლივი პროექტის განხორციელების სურვილი;
- აპარატი ჩართული იყო საქართველოს სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა და ნიდერლანდების სამეფოს კლინგენდაელის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ,,საერთაშორისო მოლაპარაკებების უნარებში დახელოვნების“ ტრენინგებში, რომელიც გაიმართა საქართველოში;
- აპარატმა მონაწილეობა მიიღო ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ გამართულ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო კვლევის ,,საქართველოს გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები თემების საერთო საჭიროებები და პრიორიტეტები“ შედეგების გაცნობა. კვლევა განხორციელდა პროექტის ,,ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში“ ფარგლებში, რომელიც განახორციელა ქალთა საინფორმაციო ცენტრმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მხარდაჭერით;

- აპარატი ჩართული იყო დიასპორული ორგანიზაციის ,,დიასპორის სახლი“ თაოსნობით გამართული ქართველი ემიგრანტების დაჯილდოების ღონისძიების ორგანიზების პროცესში;
- აპარატის ორგანიზებით, პროგრამის ,,აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტების და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“ ფარგლებში, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა“. ღონისძიების მიზანი იყო ქართული და აფხაზური საზოგადოების აკადემიური პერსონალის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გააქტიურება და ინტეგრაცია შერიგებისა და ნდობის მშენებლობის პროცესებში, ქართული და აფხაზური საზოგადოების თანამშრომლობა სამეცნიერო სფეროში. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემებზე, იმ გამოწვევებსა და დაბრკოლებების გადაჭრის გზებზე, რომლებიც თან ახლავს თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობას;
- პროგრამის ,,სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება'' ფარგლებში განხორციელდა:
  - პროექტი ,,ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“. სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით აპარატი მეორე წელია ატარებს ზემოთხსენებულ პროექტს „CYNC სივრცის“ ფარგლებში. პროექტში მონაწილეობა მიიღო100-მდე ახალგაზრდამ. მათ შორის იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი და თბილისში არსებული დიასპორების წარმომადგენელი ახალგაზრდები;
  - პროექტი „სამშვიდობო რესურსები, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მომავალი“, რომლის მიზანი იყო აფხაზეთის შესახებ საარქივო მასალებში დაცული უძველესი და საინტერესო ხელნაწერების გაცნობა ქართველი და აფხაზი საზოგადოებისთვის, თანამშრომლობის გააქტიურება საერთო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გააქტიურებას და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით მომზადდა გამოფენა ,,აფხაზეთი - ხელნაწერები საუბრობენ დაფარულზე“, რომლისთვისაც შეგროვდა აფხაზეთის შესახებ ქართულ ხელნაწერებში დაცული მასალა. აღნიშნული მასალა ითარგმნა აფხაზურ და ინგლისურ ენებზე და დამზადდა სამენოვანი ბანერები;

- პროექტი ,,მშვიდობის ლაბორატორია". დაიბეჭდა ქართულად ნათარგმნი აფხაზი პოეტების ლექსების კრებული „ნავეი და მზაუჩი", მომზადდა ფოტოგამოფენა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე. აღნიშნული წიგნისა და ფოტომასალის პრეზენტაცია, ქართველი მხატვრების მიერ აფხაზეთის თემაზე შემნილი ნამუშევრების გამოფენა და, ასევე, ფილმის ,,ხიდის ორი მხარე" ჩვენება გაიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში.

აღსანიშნავია სსიპ „აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის" საქმიანობა. 2019 წლის 9 თვეში მოამზადა და სოციალურ ქსელში (facebook, youtube) განათავსა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მქონე 138 სიუჟეტი ქართულ და აფხაზურ ენებზე.

გარდა ამისა:

- საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დანგრეულ და განადგურების პირას მიყვანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ;
- მომზადდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი სიუჟეტები;
- სისტემატურად შუქდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობა, შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში;
- მომზადდა დევნილთა სოციალური მდგომარეობის, მათი პრობლემებისა და ამ პრობლემების გადასაჭრელად გატარებული ღონისძიებების ამსახველი სიუჟეტები;
- გაშუქდა აფხაზეთის სკოლების ღონისძიებები, საანგარიშო კონცერტები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, საიუბილეო თარიღები, ,,ეტალონი-2019", საუკეთესო მოსწავლეების გამოვლენა, აფხაზური ენის სახელმძღვანელოებისა და შემსწავლელი პროგრამების პრეზენტაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობა. აგრეთვე სპორტული ღონისძიებები - ადგილობრივი შეჯიბრებები, საერთაშორისო ტურნირები სხვადასხვა სახეობებში, ცნობილი სპორტსმენების იუბილეები, აფხაზეთიდან ცნობილი სპორტსმენების სახელობის ტურნირები, ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა და მათი პოპულარიზაცია.

გრძელდებოდა მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სახალხო დიპლომატიის ფარგლებში სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზე. ცენტრის აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით ოკუპირებულ ტერიტორაზე განხორციელდა უპრეცენდენტო გამოკითხვა. გამოკითხულ იქნა 500 (ხუთასზე) მეტი ოჯახი, რომლებმაც ისაუბრეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი უფლებების დარღვევის სხვადასხვა საკითხებზე,

აგრეთვე იმ პერსპექტივებზე, თუ როგორ მიაჩნიათ აფხაზებთან დაახლოების საკითხის მოგვარება.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2019 წლის 9 თვეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა* მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:
  - <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი</u> მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებს გამოკვლევას კომპიუტერულ ტომოგრაფზე კონტრასტით, რომლის სკანერი არანაკლებ 128 შრიანი სისტემაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 66 500 ლარი (350 ეპიზოდი). პროგრამა ხორციელდება შპს ,,რეგიონულ ჰოსპიტალში“.

    საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 205 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (272 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 51 680 ლარი;

  - <u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი</u> ითვალისწინებს განსაკუთრებით რთულ და საეჭვო კლინიკურ შემთხვევებში პაციენტის მაღალეფექტური, სპეციალიზირებული დიაგნოსტირების პროცესის მეშვეობით დიაგნოზის ვერიფიცირებას. პროგრამა მოიცავს გამოკვლევის ჩატარებას ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე, რომლის მაგნიტური ველის ინდუქტივობა არანაკლებ 3 ტესლაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 195 000 ლარი (620 ეპიზოდი). ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ავერსის კლინიკამ“.

    საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 523 ბენეფიციარი (570 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 175 908 ლარი;

- ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტი ითვალისწინებს ბენეფიციართა უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ინსტრუმენტული გამოკვლევების მიღებაში. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 23 000 ლარით. ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ავერსის კლინიკამ". პროგრამა ითვალისწინებს თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ციფრულ რენტგენოგრაფიას, ელექტროენცეფალოგრაფიას, ართროექოსკოპიას და ულტრაბგერით დენსიტომეტრიას (382 ეპიზოდი).

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 264 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (368 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 221 193,32 ლარი;

- ➢ ენდოსკოპიური გამოკვლევის კომპონენტის ბიუჯეტმა შეადგინა 18 820 ლარი. ტენდერში გაიმარჯვა სს ,,ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულმა ცენტრმა". პროგრამა ითვალისწინებს ეზოფაგოდუოდენოსკოპიას, კოლპოსკოპიას, კოლონოსკოპიას (170 ეპიზოდი).

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 113 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (129 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 13 482 ლარი;

- ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს ორთოპედიულ მკურნალობას (ზედა და ქვედა ყბის ნაწილობრივი ან სრული მოსახსნელი პლასტმასის კონსტრუქცია). ბიუჯეტი განისაზღვრა 19 400 ლარით (200 ეპიზოდი). ხორციელდება შპს ,,32 დენტში".

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 107 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (200 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 19 400 ლარი;

- ➢ სარეაბილიტაციო მკურნალობის კომპონენტი ითვალისწინებს დევნილთათვის სარეაბილიტაციო დახმარების უზრუნველყოფას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 26 250 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინოსა და რეაბილიტაციის ცენტრმა".

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 83 ბენეფიციარი (1 743 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 21 462,50 ლარი;

- ➢ მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 8 240 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ვივამედმა". პროგრამა ითვალისწინებს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციებს, მხედველობის

სიმახვილის განსაზღვრას, ოფთალმოსკოპიას, რქოვანას ტოპოგრაფიას, კოჰერენტულ ტომოგრაფიას და კომპიუტერულ პერიმეტრიას (სულ 222 ეპიზოდი).

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 91 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (159 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 6 840 ლარი;

- <u>სისხლის მიმოქცევის სისტემის სკრინინგული გამოკვლევების კომპონენტის</u> მიზანს წარმოადგენდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა ადრეული დიანოსტიკა და გართულებათა პრევენცია. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12 200 ლარით. ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს ,,ავერსის კლინიკა". პროგრამა ითვალისწინებს ექიმ-კარდიოლოგის კონსულტაციას და ექოკარდიოგრაფიას, სრული ლიპიდური სპექტრის განსაზღვრას, 24-საათიანი ეკგ მონიტორინგს და ფიზიკური დატვირთვის სინჯს-პრედმილს (288 ეპიზოდი).

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 174 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (287 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 12 160 ლარი;

- <u>ლაბორატორიული კვლევების კომპონენტი</u> მოიცავს წვრილნემსიან ასპირაციულ (FNA) ბიოფსიას ულტრაბგერითი კონტროლით და ციტოლოგიით, სხვადასხვა ბიოფსიური მასალის ციტოლოგიურ, მორფოლოგიურ და იმუნოჰისტოქიმიურ კვლევებს. დიაგნოსტიკის აღნიშნული მეთოდების სენსიტიურობა და სპეციფიკურობა ძალიან მაღალია, განსაკუთრებით დაბალი და არადიფერენცირებული სიმსივნეების შემთხვევებში, აგრეთვე, პირველადი კერის უცნობი ლოკალიზაციის დროსაც. პროგრამა ამოქმედდა მიმდინარე წლის მაისში. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3 482 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „მედულა". მომსახურება გაეწია 15 ბენეფიციარს. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 3 208 ლარი;

- <u>ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის კომპონენტის</u> მიზანია თვალის რეფრაქციული ანომალიის კორექცია ექსიმერული ლაზერით. მოსახლეობის სახელმწიფო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით არ ხდება ლაზერული ქირურგიის გამოყენებით თვალის დაავადებათა მკურნალობის ანაზღაურება. პროგრამის განხორციელება დაიწყო მეორე კვარტლის ბოლოდან.

  პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 34 510 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „ნიუ ჰოსპიტალსი". გათვალისწინებულია 29 ეპიზოდის დაფინანსება.

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 8 ბენეფიციარის (15 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 17 850 ლარი;

- <u>აბილიტაციის კომპონენტის</u> მიზანს წარმოადგენს მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მაქსიმალური სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირება. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35 425 ლარით. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაიმარჯვა ააიპ ,,სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრმა აისი".

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 45 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (945 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 20 810 ლარი.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხორებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა წარმოდგენილია 2 კომპონენტით:

- <u>კორონარული ანგიოგრაფიის და არტერიოგრაფიის კომპონენტი</u> გულისხმობს საპროგნოზო პერიოდში კორონარული ანგიოგრაფიის მომსახურების და არტერიოგრაფიის დაფინანსებას. ბიუჯეტი შეადგენს 30 780 ლარს (54 ეპიზოდი). ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსმა".

  საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 45 ბენეფიციარს. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 24 795 ლარი;

- <u>მენჯ-ბარძყის ენდოპროთეზირების კომპონენტი</u> მიმართულია ენდოპროთეზების ოპერაციების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 69 615 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსი". გათვალისწინებულია 17 ეპიზოდის დაფინანსება.

  საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 7 ბენეფიციარს. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 28 665 ლარი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სულ ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში (გარდა პროფსამედიცინო გასინჯვებისა) დახმარება გაეწია 1 680 ბენეფიციარს (4 755 ეპიზოდი).

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის* მიზანია ადგილზე

ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა და დევნილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, პროგრამაზე ბიუჯეტი გათვალისწინებულ იქნა 60 000 ლარი, მათ შორის მედიკამენტების შესყიდვაზე - 45 000 ლარი. 2019 წელს მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის მედიკამენტების კატალოგის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებები დაიდო შპს ,,ავერსი ფარმასთან – 8 878,22 ლარზე, შპს ,,პსპ-ფარმასთან" – 22 422,8 ლარზე და სს ,,გეფასთან" – 3 176,85 ლარზე. სულ ხელშეკრულებები დაიდო 34 377,87 ლარის მედიკამენტზე.

მ.წ. მაისში, პროგრამის ფარგლებში:

- ჩატარდა გასვლითი ღონისძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქ. ზუგდიდი, სოფ. ინგირი). სულ გაისინჯა 375 ბენეფიციარი (ზუგდიდში - 234; ინგირში - 141 ბენეფიციარი), განხორციელდა 1 125 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. გაიცა 7 134,83 ლარის მედიკამენტი. ანალოგიური აქცია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქ. ზუგდიდი, ქ. სენაკი) ჩატარდა მ.წ. ივნისში. გაისინჯა 360 ბენეფიციარი (ზუგდიდში - 195; სენაკში - 165 ბენეფიციარი), განხორციელდა 1100 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. გაიცა 8 758,07 ლარის მედიკამენტი, 9 - ტონომეტრი, 5 - გლუკომეტრი და 1 - ნებულაიზერი;

- „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების" პროგრამისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში „აკად. გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან" ერთობლივად ჩატარდა აქცია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთში (გორის მუნიციპალიტეტი) და მიმდებარე სოფლებში (ნადარბაზევი, ნაწრეტი, შავშვები, წითელუბანი) მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების მიზნით. სულ გაისინჯა 172 ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ როგორც სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა), განხორციელდა 770 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. აქციის მსვლელობისას C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგი ჩაუტარდა 70 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი აღმოაჩნდა 1-ს. აქციის მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდა შპს „პსპ-ფარმას" მიერ ჰუმანიტარულად გადმოცემული 54 დასახელების 955,39 ლარის მედიკამენტით და სამედიცინო საშუალებებით, რომელიც გაიხარჯა სრულად;

- ანალოგიური ღონისძიება ჩატარდა იმერეთის რეგიონში (ქალაქი ქუთაისი, ქალაქი წყალტუბო). სულ გაისინჯა 260 ბენეფიციარი (ქუთაისში - 140, წყალტუბოში - 120 ბენეფიციარი). განხორციელდა 1110 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. აქციის ორივე დღეს C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 57 ბენეფიციარს, რომელთაგან დადებითი პასუხი აღმოაჩნდა 3-ს. აქციაზე გაიხარჯა 8 143,64 ლარის მედიკამენტები;

- გასვლითი ღონისძიება ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში (სოფელი ვაზიანი). ღონისძიების ფარგლებში სულ გაისინჯა 75 ბენეფიციარი, განხორციელდა 400 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგზე ანალიზი გაუკეთდა 36 ბენეფიციარს, C ჰეპატიტზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა 1-ს. დევნილ ბენეფიციარებზე გაიცა 2 893,77 ლარის მედიკამენტები;

- ანალოგიური ღონისძიება ჩატარდა რუსთავში. სულ გაისინჯა 92 ბენეფიციარი, განხორციელდა 320 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან. ბენეფიციართა შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა. C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგზე ანალიზი გაუკეთდა 25 ბენეფიციარს, C ჰეპატიტზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდა 1. აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე გაიცა 3 109,42 ლარის მედიკამენტები და 779,3 ლარის სამედიცინო დანიშნულების საგნები (ტონომეტრი, გლუკომეტრი ტესტჩხირებით, ნებულაიზერი).

ამრიგად, 2019 წლის 9 თვის მონაცემებით, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სულ გაისინჯა 1 694 ბენეფიციარი, განხორციელდა 6 047 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტებთან, გაიცა პროგრამის ფარგლებში 38 797,80 ლარის მედიკამენტები და 955,39 ლარის ჰუმანიტარული მედიკამენტი, ასევე სამედიცინო საშუალებები და, სამინისტროს „სოციალური მხარდაჭერის პროგრამის სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენის კომპონენტის“ ფარგლებში - ტონომეტრები, გლუკომეტრები/ტესტჩხირებით, ნებულაიზერები.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის* მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერა, დევნილ ავადმყოფთა სტაციონარული/ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულების თანადაფინანსების თანხების ანაზღაურებაში წილობრივი მონაწილეობით მოქალაქეთათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობისა და დროულ მიღებაში ფინანსური მხარდაჭერა, დევნილი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. პროგრამა წარმოდგენილია რამდენიმე კომპონენტით:

- ჰოსპიტალური მომსახურებისა და ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა - ბიუჯეტი განისაზღვრა 155 000 ლარით. საანგარიშო პერიოდში კომისიურად დაფინანსდა 339 ბენეფიციარი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 145 613,31 ლარი;
- სამედიცინო დანიშნულების საგნების შეძენის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7 000 ლარით. ითვალისწინებს სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების საგნების (ტონომეტრი, გლუკომეტრი, ტესტ-ჩხირები, ნებულაიზერი, კოაგუჩეკი) შესყიდვას, კომისიური წესით ბენეფიციარების დაფინანსებას და შესაბამისი დახმარების გაწევას. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს ,,უნიმედი“ თანხით 6 200 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 800 ლარი. პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 6 დასახელების სამედიცინო დანიშნულების საგანი. ამავე პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს შეძენილი სამედიცინო დანიშნულების საგნებით, დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს. პროგრამა განხორციელდება მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალაქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებლივი რეაგირება.

საანაგრიშო პერიოდში სამინისტროს დახმარებისათვის მიმართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 585 პირმა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 105 დევნილმა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომისიის ოქმით დაფინანსდა 857 მოქალაქე, მათ შორის 517 ეთნიკურად აფხაზი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ განახორციელა აფხაზ პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტი. რეფერალური ობიექტით ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 49-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად (სულ 50 პირი). თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესის“ შესაბამისად.

გარდა ამისა, 2019 წლის 9 თვეში სამინისტროს შუამდგომლობით, ორგანიზაციასთან ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ 18 ბენეფიციარს გადაეცა ინვალიდის ეტლი.

განათლება, კულტურა, სპორტი

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- ,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“

ქვეპროგრამის ფარგლებში:

- ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის საკანცელარიო ნივთების შესყიდვისათვის გამოიყო 8886,3 ლარი;
- ფ/პ ვერა კოკაიას პროექტის „აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი მოზარდების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება“ გამოიყო 7 500 ლარი;
- აფხაზეთის N2 საჯარო სკოლას გამოეყო 2200 ლარი სკოლის რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
- ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას გამოეყო 1 987 ლარი რემონტისათვის (სკოლის ოთხი საკლასო ოთახის, რესურსოთახის, ფოიესა და მოსწავლეთა სველი წერტილების შეღებვა/მოწესრიგება) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას გამოეყო 2 421 ლარი სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის კეთილმოწყობისათვის (მაგიდები, სკამები, ინტერნეტისა და ელექტრო გაყვანილობის მწყობრში მოყვანა) საჭირო მასალების შეძენის მიზნით;
- აფხაზეთის N14 საჯაროს სკოლას გამოეყო 1 200 ლარი სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაციისათვის;
- თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას გამოეყო 871 ლარი მასალების შეძენის მიზნით;
- აფხაზეთის N15 საჯაროს სკოლას გამოეყო 2 580 ლარი საბიბლიოთეკო ინვენტარის შეძენის მიზნით;
- აფხაზეთის N14 საჯაროს სკოლას გამოეყო 1 072 ლარი სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაციისათვის.

- ,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“

  განხილულ იქნა 193 განცხადება. პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 161 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან;

- ქვეპროგრამა „აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა“

  დაფინანსდა აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის 6 პედაგოგი;

- „კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში“

  შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა - 644 ლარი ჭრა-კერვის მიმართულებით პროგრამის გასაგრძელებლად საჭირო მასალების შესაძენად;

- ,,საზაფხულო სამშვიდობო ბანაკი“

  სამინისტროს პარტნიორობას უწევდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN უწევდა. მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე - სამშვიდობო განათლების მთავარი პრინციპები და ღირებულებები, კონფლიქტოლოგია, ადამიანის უფლებები, ახალგაზრდული პოლიტიკა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვა. გაიმართა მინი-ლექციეციები და თემატური სავარჯიშოები გენდერული თანასწორობის, სტიგმასა და სტერეოტიპების, კომუნიკაციის, ტოლერანტობის, ეკოგანათლების მიმართულებით. იმართებოდა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები. ყველა მონაწილეს გადაეცა ,,საზაფხულო სამშვიდობო ბანკი 2019“ მონაწილისა და ,,მწვანე ბანაკის“ სერტიფიკატები;

- „გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო პროგრამა დევნილი ახალგაზრდებისათვის“

  პროგრამის ფარგლებში 10 ახალგაზრდა ორი თვის განმავლობაში ეუფლებოდა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს - ტიხრული მინანქარი, ტექსტილი (ბატიკა, თექა, ქვილთი, გობელენი, შიბორი), მინის მხატვრული დამუშავება და ცივი ფაიფური. მოეწყო ახალგაზრდების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა, სადაც შეფასდა მათი სასწავლო პროგრამისას მიღებული ცოდნა. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი;

- „დიმიტრი (არზაყანი) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“

  პროგრამის ფარგლებში სტიპენდია მიენიჭა 6 სტუდენტს;

- „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“

  პროგრამის ფარგლებში სტიპენდია მიენიჭა ერთ სტუდენტს;

- ,,თანაბარი შესაძლებლობები თანაბარი მზრუნველობა“

  პროგრამა ემსახურება შშმ მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალურ გარემოში ჩართულობას, რეაბილიტაციას, ინტეგრაციას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, დადებითი ემოციური განწყობის შექმნას.

პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების სპეციალური მასწავლებლისთვის (15 პედაგოგი) ჩატარდა გადამზადების ტრენინგი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI) კლასების დამხმარე სასწავლო ტექნოლოგიის შესახებ. ტრენინგი მიმდინარეობდა 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი ვიდეო ფილმებითა და საკითხავი მასალით. პროგრამის დასასრულს პედაგოგებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები;

- ,,სამოქალაქო განათლება - აქტიურ მოქალაქეთა პროგრამა“

  პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არაფორმალური განათლების გზით. სკოლებში სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება განავითარებს მოსწავლეებში აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევებს, გაზრდის მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

  პროგრამის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით სკოლებიდან შემოსული 5 განაცხადიდან დაფინანსდა 4 პროექტი:

  - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა - 575 ლარი;
  - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 სკოლა - 795 ლარი;
  - აფხაზეთის N12 საჯარო სკოლა - 426 ლარი;
  - აფხაზეთის N10 საჯარო სკოლა - 501,70 ლარი.

- ,,ვიცნობდეთ ქვეყნის გმირებს“

  ქვეპროგრამის ფარგლებში აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეების მიერ მოხდა ინფორმაციის მოძიება თანამედროვე ქართველ გმირებზე, საინტერესო ისტორიების ჩაწერა-წარმოჩენა, გმირების ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან შეხვედრები, პრეზენტაციები, გმირების ისტორიებზე დაიბეჭდა კრებული;

- ,,აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“

  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორის - ბაკურ გულუას ქ. ავეიროში (პორტუგალია) 28 ივლისიდან 2 აგვისტოს პერიოდში ISAAC-ის მე-12 კონგრესზე მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით;

- ,,მედიაპროექტი ,,ეტალონი“

  მედია-პროექტში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის გალის რაიონის სკოლების 49 მოზარდმა;

- ,,კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა“

➢ ,,საღამოები“

ქვეპროგრამის ფარგლებში:

– ჩატარდა საქართველოს ეროვნულ გმირს, ჟიული შარტავას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ბოლოს, დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო, რომელზეც მონაწილეობდნენ გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი. გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა ქართულ-აფხაზური ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა;

– გაიმართა აფხაზეთის მკვიდრის, აფხაზეთის ტურიზმის დამსახურებული მოღვაწის გივი მეშველიანის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;

– დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა ქართველი პოეტის, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის ყოფილი თავმჯდომარის გენო კალანდიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

- ,,მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი შეხვედრების ორგანიზება“

ქვეპროგრამის ფარგლებში:

➢ ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში ჩატარდა:

– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო-შემეცნებითი კვირეულის დასკვნითი საღამო „მე ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ“, რომელშიც აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის ,,ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, წეროვანის, საგურამოს, სამაჩაბლოს, ზემო აფხაზეთის საჯარო სკოლების მოზარდებმა. დარბაზში გამოფენილი იყო ახალგაზრდების ნამუშევრები (ნახატები,ნაქარგები);

– აფხაზეთის ტურიზმის დამსახურებული მოღვაწის გივი მეშველიანის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

- ,,აფხაზეთის დღე“

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე განხორციელდა ღონისძიება „მე ვარ აფხაზეთი“. წარმოდგენილი იყო გამოფენა „XIX საუკუნის აფხაზეთი ფოტოპორტრეტებში“ და აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მასალა. გაიმართა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მეწარმეების პროდუქციის პრეზენტაცია, ასევე, მასტერკლასები კალიგრაფიაში, ხატვასა და დიზაინში. საგანგებოდ მოწყობილ პოდიუმზე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს მაისურები ტექსტით ,,მე ვარ აფხაზეთი” და ,,აფხაზეთის ქალაქები“.

- ,,ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“

ქვეპროგრამის მიზანია ქართულ-აფხაზური კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის, აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული მიღწევების მქონე, ნიჭიერი და წარმატებული ხელოვანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მათი განვითარება; ხელოვანთა ფინანსური მხარდაჭერა/თანადაფინანსება კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და სხვადასხვა სახის შემოქმედებით ღონისძიებებში მისაღებად.

დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა პროექტი „კულტურული ღონისძიების ორგანიზება ქართულ-აფხაზური პოპულარიზაციისათვის“, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და კვარტეტი „აფხაზეთი“.

შპს სტუდია „შავნაბადამ“ წარმოადგინა პროექტი „აღადგინე ქართული გალობა“. იდეა ითვალისწინებდა ქართული კანონიკური მრავალხმიანი გალობის საადგომო ციკლის თვითმასწავლებლის შექმნას. თვითმასწავლებლის საშუალებით მსურველები ელექტრონულად, დამოუკიდებლად შეძლებენ გალობის სწორად შესწავლას, უსასყიდლოდ გავრცელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

პროგრამის ფარგლებში ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი №1“ დირექტორი იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. ალანიაში მუსიკოს-შემსრულებელთა IX საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ჰარმონია-2019“, როგორც კონცერტმაისტერი და ჟიურის წევრი. მან მონაწილეობა მიიღო ქართულ-აფხაზური კულტურის წარმოჩენაში. ასევე კონკურს-ფესტივალზე აფხაზეთის სახელით წარსდგა ამავე სკოლის მოსწავლე, რომელმაც I საპრიზო ადგილი დაიმსახურა.

- ,,სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა“

  დაფინანსდა;
  - ა(ა)იპ ძალისმიერ სპორტის საერთაშორისო გაერთიანებისგან შემოსული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ჩემპიონატზე ძალოსნობაში აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების მონაწილეობის ორგანიზებას;
  - ა(ა)იპ საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია, რომელმაც უზრუნველყო ჟიული შარტავას სახელობის სპორტული ალპინიადის ორგანიზება;
  - ააიპ აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის ნაკრები გუნდის წევრების ქ. ბაკურიანში სპორტულ-მოსამზადებელ შეკრებაზე მგზავრობა;
  - ოკუპირებული გალის რაიონში არსებული საფეხბურთო გუნდისპორტული ეკიპირებისა და ინვენტარის შესაძენად;
  - რაგბის კლუბი “სოხუმი“ ბავშვთა რაგბის გუნდი სათამაშო ფორმების შესაძენად;

  ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა:
  - ტურნირი ჯომარდობაში აფხაზეთის თასზე;
  - ტურნირი ტაეკვანდოში, სადაც ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ტაეკვანდოს ფედერაცია.
- ,,გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება”

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის 9 საბავშვო ბაღის, 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 173 ბენეფიციარი - 85 პედაგოგი და 88 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

ეკონომიკის სფერო

ბიზნეს სექტორი

2019 წლის 9 თვეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავს როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო, საშუალოდ 1 547 კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 14 577,8 ათასი ლარი (მ.შ. III კვარტალში - 5 460,7 ათასი ლარი), საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 1 047,0 ლარი (მ.შ. III კვარტალში - 1 174,3 ათასი ლარი).

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2019/9 თვე-2018/9 თვე მოქმედ ფასებში



როგორც №4 დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის 9 თვეში საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში ერთ მომუშავეზე დაფიქსირდა 1 047,0 ლარის დონეზე, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლთან (910,3 ლარი) შედარებით გაიზარდა 15,0 პროცენტით.

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2019 წლის 9 თვეში ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 73 102,6 ათასი ლარი (მ.შ. III კვარტალში - 28 272,6 ათასი ლარი).

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2019/9 თვე-2018/9 თვე



დიაგრამიდან №5 ჩანს, რომ 2019 წლის 9 თვეში პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2018 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (89 603,6 ათასი ლარი) შედარებით შემცირდა 16 501,0 ათასი ლარით, ანუ 18,4 პროცენტით. საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (99,1%) მოდის ენერგეტიკაზე – 72 463,8 ათასი ლარი (მ.შ. III კვარტალში - 28 086,5 ათასი ლარი), ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 638,8 ათასი ლარი (მ.შ. III კვარტალში - 186,1 ათასი ლარი) ანუ 0,9%.

2019 წლის 9 თვეში ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 2 650,3 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს (მ.შ. III კვარტალში - 1 124,3 მლნ.კვტ.სთ). წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (4 025,3 მლნ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა 34%-ით.

საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1 173 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 263,3 ლარით (მ.შ. III კვარტალში - 1 439,2 ლარი), რაც 13,6 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 111,7 ლარი) შედარებით.

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2019/9 თვე-2018/9 თვე



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული სამედიცინო პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის 14 საწარმო.

2019 წლის 9თვეში შპს-ების:

- ***საერთო შემოსავალმა*** შეადგინა 1 707 883 ლარი, რაც გეგმიურ შემოსავლებზე (1 642 330 ლარი) 65 553 ლარით, ანუ 4,0%-ით მეტია, ხოლო 2018 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ შემოსავლებთან (1 488 134 ლარი) შედარებით 219 749 ლარით, ანუ 14,8 %-ით მეტია;
- ***მთლიანმა ფაქტიურმა დანახარჯებმა*** 1 600 925 ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებულზე (1 556 756 ლარი) 44 169 ლარით, ანუ 2,8%-ით მეტია, ხოლო 2018 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ დანახარჯებთან (1 470 023 ლარი) შედარებით 130 902 ლარით, ანუ 8,9%-ით გაიზარდა;
- ***საწარმოების ჯამურმა მოგებამ*** 108 941 ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილზე (85 574 ლარი) 23 367 ლარით ანუ 27,3%-ით მეტია. 2018 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მოგებასთან (39 253 ლარი) შედარებით მოგება გაიზარდა 69 688 ლარით ანუ 2,8-ჯერ გაიზარდა.

2019 წლის 9 თვის ფაქტიური შემოსავლების საერთო თანხამ 1 707 883 ლარი შეადგინა, ხოლო შიდა სტანდარტით მიღებული შემოსავლებმა - 495 515 ლარი, რაც მთელი შემოსავლების 29,0%-ია. შპს-ების უმრავლესობამ (11 შპს) საანგარიშო პერიოდი მოგებით დაასრულა. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის N66 დადგენილების საუფუძველზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ დაჯარიმებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს დაუკორექტირა ჯარიმები, გადასახდელად დაუტოვა მხოლოდ ძირი თანხები პროცენტების გარეშე, რის გამოც ჯარიმების ოდენობა მკვეთრად შემცირდა.

ფუნქციონირებადი შპს-დან საანგარიშო პერიოდი სამმა (შპს ,,სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა“, შპს ,,დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი ცხუმი“, შპს ,,აფხაზეთიდან იგპ-თა ოფთალმოლოგიური კლინიკა“) ზარალით (ჯამური ოდენობა 1 983 ლარი) დაამთავრა.

2019 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით საწარმოების საშუალო რენტაბელობის დონემ 6,8% შეადგინა. გასული წლის შესაბამის პერიოდში ეს სიდიდე 2,7% იყო.

სამინისტროს მართვაშია აგრეთვე ***სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორი“***, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების, უპირატესად კი ახალგაზრდების დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლება, ინოვაციური პროექტების შემუშავება და განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სულ დასაქმებულია 20 პირი, რომელთაგან 9 დევნილია. ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ მოიჯარე კომპანიებში დასაქმებულია 105-მდე პირი, რომელთა შორის 21 დევნილია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში უშუალოდ სსიპ ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ დასაქმებული იყო 12 პირი, ხოლო მოიჯარე კომპანიებში - 88 (აქედან 21-იგპ).

2019 წლის 9 თვეში თანამშრომელთა სახელფასო ფონდმა შეადგინა სულ 104 850 ლარი, აქედან გრანტით დაფინასებულია 58 950 ლარი. 8 პირის შრომის ანაზღაურება ხორციელდება 4 წლიანი საგრანტო პროექტის (560 000 ლარი) ფარგლებში. პროექტის მიზანია ავტომატური მართვის მექანიზმით აღჭურვილი, ენერგოდამზოგავი და უსაფრთხო ქარძრავის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში მოიჯარეების შემოყვანის მიზნით, შეირჩა და მოწესრიგდა იჯარით გასაცემი ფართები. მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და ჩატარდა აუქციონი არასაცხოვრებელ ფართებზე. გამარჯვებულ ინდმეწარმეებთან გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულებები 2 377$მ^2$ ფართზე.

,,ბინეს-ინკუბატორის“ ფუნქციას წარმოადგენს, აგრეთვე, იგპ-თა სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება შემდგომში მათი დასაქმების ხელშეწყობით. საანგარიშო პერიოდში კომპანიაში „„თერნალი ჩაი“, ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ ხელშეწყობით, 11-მა პირმა დაიწყო სტაჟირება, რომელთაგან 9-სთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. სამშენებლო ბლოკების საწარმოში ი/მ „ზაზა ზასოხაშვილი“ სტაჟირება გაიარა 5-მა ახალგაზრდამ, რომელთაგან 2 აყვანილ იქნა სამსახურში. ასევე, ი/მ „მინდია ლაკვეხელიანი“ (ქვის დამუშავება) სტაჟირება გავლილი 4 პირიდან სამუშაოზე დასაქმდა 3 სტაჟიორი. ფონდების მოძიების მიმართულებით ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სტაჟირება გაიარა 6 პირმა.

მუდმივად ხორციელდება საზღვრის მიმდებარედ დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებზე დასაქმების მიზნით გადაცემული სასათბურე კონსტრუქციების მონიტორინგი, მოიჯარეების გადახდისუნარიანობის დადგენა. ასეთი მონიტორინგი და ინვენტარიზაცია განხორციელდა 2019 წლის სექტემბრის ბოლოს. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სამეგრელოში 37 მოიჯარის სარგებლობაში

არსებული 59 სათბურიდან, მხოლოდ 7 ფერმერის სათბურია მოქმედი, დანარჩენები (ზოგი მთლიანად და ზოგი ნაწილობრივ) კი დაზიანებულია. მეიჯარეები უმოქმედო სათბურებიდან ვერ იღებენ შემოსავალს, შედეგად, ,,ბიზნეს-ინკუბატორში" იჯარიდან შემოსული თანხა დაგეგმილზე მცირეა.

2019 წლის 9 თვეში იჯარის შემოსავლებმა შეადგინა 49 513 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნაკლებია 1 529 ლარით, ანუ 3%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს 22 915 ლარს, რაც 9 070 ლარით აღემატება (საშემოსავლო გადასახადისა და საგრანტო პროექტის დაფინანსების ხარჯზე) წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს (13 845 ლარი).

აგრარული სექტორი

საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს *წარმოადგენს* საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან დევნილი პირებისათვის, ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა მცენარეთა დაცვისა და ვეტმომსახურეობაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებში; აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაში აქტიური ჩართულობა; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში დახმარების აღმოჩენა.

2019 წლის 9 თვეში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აგრარულ პროექტებში და პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, შესწავლილ იქნა ოკუპირებული გალისა და ოჩამჩირის რაიონების აგრარული მიმართულების ამსახველი მონაცემები. მიმდინარეობს გულრიფშის რაიონში ანალოგიური მონაცემების მოძიება. შესწავლილი და მოპოვებულია მასალები „სახელმწიფო პროგრამა - ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" მსურველ ბიზნეს საქმიანობაში მონაწილე ბენეფიციარ ბიზნესმენთა პერსონალური ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილ იქნა საინტერესო ბიზნეს იდეა ლურჯი მოცვის გაშენების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში:

- ჟურნალში ,,ახალი აგრარული საქართველო" გამოქვეყნდა დეპარტამენტის სპეციალისტების ნამუშევრები, სტატიები ინოვაციებზე და ფერმერთათვის საინტერესო სხვა თემებზე;

- დეპარტამენტის მიერ, ,,აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მონიტორინგი (საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, ფაროსანას გავრცელების არეალის დადგენა და ა.შ.). „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის აფხაზეთის მთავრობას გადმოეცა 20 000 ლიტრი ქიმიური პრეპარატი, 1000 ცალი ფერომონიანი სატყუარა და 200 კომპლექტი სპეცტანსაცმელი. აქედან 10000 ლიტრი ქიმიური პრეპარატი და 500 ცალი ფერომომონიანი სატყუარა გაეროს განვითარების პროგრამა „დიალოგის“ მეშვეობით გადაიგზავნა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო 10 000 ლიტრი ქიმიური პრეპარატის და 1500 ფერომონიანი საჭერის გადატანის ორგანიზება ოკუპირებულ ტერიტორიაზე განხორციელდა დეპარტამენტის სამსახურის ჯგუფის ხელმძღვანელების მეშვეობით.
- მავნებლებთან ბრძოლისა და აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად ჩატარების მიზნით ოკუპირებული გალის რაიონში შეიქმნა მცენარეთა დაცვის სამუშაო ჯგუფი;
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქიმიური წამლობის ჩატარებისათვის გამოყოფილი 7830 ლიტრი ქიმიური პრეპარატი გადატანილ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და განაწილდა ადგილობრივ მოსახლეობაზე სოფლების მიხედვით;
- მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან თხილის მოყვანა-რეალიზაციის სფეროში დასაქმებულ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერთა დახმარების, მათი შემოსავლის წყაროების გაზრდის მიზნით. თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ზემოაღნიშნული კატეგორიის ფერმერთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და მათ ცოდნის ამაღლება. მომზადდა ინფორმაცია „თხილის კულტურის ძირითადი მავნებელ-დაავადებები, და გასატარებელი საწინააღმდეგო ღონისძიებები“. შედგენილ იქნა ცნობარი „თხილის კულტურის ჩასატარებელი ღონისძიებები წლის პერიოდში“;
- აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის მთავრობის მიერ სუბსიდირების პროგრამით გამოყოფილი 30 000 ლარის ფარგლებში, გალის რაიონის ვეტსპეციალისტების მოთხოვნის საფუძველზე, ტენდერის მეშვეობით, შეძენილ იქნა 26 სახეობის ვეტმედიკამენტი და ინვენტარი, რომელიც განკუთვნილი იყო ოკუპირებული გალის რაიონის 22 სოფელში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველების გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად;

- პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შეძენილი ვეტმედიკამენტებით მომსახურეობა გაეწია 27 000 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 1 530 ოჯახამდე ფუტკარს, 130 სულ ღორს და 1 700-მდე ფრთა ფრინველს;
- იმუნიზაცია ჩაუტარდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს (ჯილეხზე - 1000 სული, თურქულზე - 4 000 სული, ნოდულარულ დერმატიტზე - 2 200 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოფზე - 4 200 ძაღლი და კატა);
- დეპარტამენტის ვეტექიმებმა ჩაატარეს პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები სხვადასხვა სახის დაავადებებზე. დროულად და ეფექტურად ჩატარებული სამუშაოების შედეგად გალის რაიონის ტერიტორიაზე საშიში ინფექციური დაავადებათა კერები დღეის მდგომარეობით არ დაფიქსირებულა. აქედან გამომდინარე, რაიონი წარმოადგენს ერთ-ერთ უსაფრთხო და კეთილსაიმედო ტერიტორიას ცხოველთა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების მხრივ არა მარტო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არამედ ქვეყნის მასშტაბით;
- ვეტსპეციალისტებმა საანგარიშო პერიოდში ორჯერ გაიარეს პრაქტიკული და თეორიული ტიპის ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისათვის სამკურნალო პრეპარატების, ვაქცინების, საკვების და საკვებდანამატების, ცხოველთა მოვლის საგნების სრული სპექტრის ქარხანაში „როქი“. დაათვალიერეს წარმოების პროცესი და მიიღეს დეტალური ინფორმაცია ვეტპრეპარატების მოხმარებისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ;
- განახლდა გალის რაიონის ძველ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ შინაურ ცხოველთა და ფუტკრის ოჯახთა მონაცემები. შეიქმნა ბაზის ელექტრონული ვერსია;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებულ იგპ-თა აგრარულ საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან მოპოვებულ იქნა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მონაცემები საქართველოს რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით, რომლებსაც საჯარო რეესტრში საკუთრებაში დარეგისტრირებული აქვთ მიწის ნაკვეთები. ამ მონაცემების საფუძველზე შემუშავდა მონაცემთა ბაზა რეგიონების მიხედვით;
- მოპოვებულია მასალები კოოპერატიულ საქმიანობაში ჩართული აფახაზეთიდან დევნილების შესახებ, რომლებიც ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად. დადგენილია იგპ-თა მონაცემები, რომელსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს-პროექტებში, რისთვისაც შედგენილია სათანადო პროექტები;
- შემუშავდა ინფორმაციულ-საკონსულტაციო შინაარსის მქონე ბიულეტენი N2, რომელშიც ასახულ იქნა საქართველოს რეგიონებში მდებარე ნიადაგის ნაირსახეობები,

ტიპები და ნაყოფიერების მიხედვით მათი მოხმარების წესები. ბიულეტენი გაუწევს პრაქტიკულ დახმარებას ფერმერებს მათ მიერ წარმოდგენილი სამომავლო იდეა-პროექტის განხორციელებისას ზედმეტი მატერიალური და შრომითი რესურსის ხარჯის თავიდან ასაცილებლად.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ორგანიზაციის „აფხაზეთი“ მიერ გამოცხადებულ საგრანტო საკონკურსო განაცხადში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ითვალისწინებდა დევნილთა საარსებო წყაროს მოძიებას ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად, აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქ. გალის რაიონში (სოფ. რეჩხი, სოფ. ოტობაია), ქ. ფოთში, მარტვილის რ-ნი, სოფ. ბალდა, მარნეულის რ-ნი, სოფ. ნემშვენიერაში მიეწოდა სრული ინფორმაცია ბენეფიციარებს, რომელთაც ჰქონდათ დასაქმების სურვილი და კონკრეტული ბიზნესიდეა სოფლის მეურნეობის სფეროში, და გაეწიათ დახმარება საჭირო დოკუმენტების მომზადებაში.

სსიპ ,,გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ ბაზაზე, რეორგანიზაციის შედეგად, შეიქმნა სსიპ ,,დევნილთა წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს აფხაზეთიდან იგპ-თა ეკონომიკური ინტეგრაციისა და მათი საარსებო წყაროებზე ხელმსიწვდომობის უზრუნველსაყოფად მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, შეფასება და განხორციელება, ასევე მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება. აგრეთვე, დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის მიზნით საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათ მიერ ინიცირებულ პროექტებში მონაწილეობის მიღება, კოლხური ბზის გაადარჩენის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობა. გარდა ამისა, დევნილთა განსახლების ადგილებში გამწვანება-განაშენიანების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ჩატარდა რიგი ღონისძიებები, რომელთა ნაწილი ეხებოდა მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის შემეცნებითი დონის ამაღლებას.

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება

დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში განკარგავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას, კერძოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს გადმოეცა:

მოძრავი ქონება

- აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ - ავტომანქანა ,,ფოლკსვაგენ პასატი“ სახ. ნომრით FW-779-WF, 2009 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით WVWZZZ3CZAP016823, საწყისი საბალანსო ღირებულებით 45 461,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ - ავტომანქანა ,,NISSAN XTERRA“ სახ. ნომრით VOO-898, 2002 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით SN1MD28Y42C570141, საწყისი საბალანსო ღირებულებით 21 840,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ ,,მერსედეს ბენცი“ სახ. ნომრით OO-377-NN, 2001 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით AL5075444, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 2 808,0 ლარი;
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ - ფაროსანას საწინააღმდეგო შესაწამლი საშუალებები - 20 000 ლიტრი ინსექტიციდი „ინსაკარი 100ეკ“, 1000 ფერომონიანი სატყუარა, 2000 კომპლექტი სპეც. ტანსაცმელი და ამუნიცია (კომბინიზონი, სათვალე, ხელთათმანი, რესპირატორი).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა:

მოძრავი ქონება

- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას - ,,NISSAN XTERRA“ სახ. ნომრით VOO-898, 2002 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით SN1MD28Y42C570141, საწყისი საბალანსო ღირებულებით 21 840,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს - პროგრამის ფარგლებში, ფაროსანას საწინააღმდეგო შესაწამლი საშუალებები - 20 000 ლიტრი ინსექტიციდი „ინსაკარი 100ეკ“, 1000 ფერომონიანი სატყუარა, 2000 კომპლექტი სპეც. ტანსაცმელი და ამუნიცია (კომბინიზონი, სათვალე, ხელთათმანი, რესპირატორი);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს - ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №42 მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული ლიფტი საბალანსო ღირებულებით 0,0 ლარი;
- შპს ,,ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ დიოსკურიას“ - სამუშაო მაგიდები საერთო საბალანსო ღირებულებით 555,44 ლარი.

უძრავი ქონება

- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას - ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №15ა, მე-3 სართულზე არსებული 15,66 $მ^2$ ფართი საწყისი ღირებულებით 14 211,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 13 358,0 ლარი. მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.10.16.003.001.01.511.);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო საამართველოს - ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზ. №42-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე განთავსებული 133,18 კვ.მ ფართი;
- სსიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას - ქ. თბილისში, მეველის ქ. №17-ში მდებარე 2 369 კვ.მ მიწა საერთო ღირებულებით 702 126 ლარი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-156კვ.მ, №2 – 121 კვ.მ, №3 – 39 კვ.მ საერთო საწყისი ღირებულებით 141 000 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 135 360 ლარი.

სულ 2019 წლის 9 თვეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროსთვის განხორციელდა 4 მოძრავი ქონების, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ - 4 მოძრავი და 3 უძრავი ქონების გადაცემა.

სხვა სამუშაოები:

- განხორციელდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები მართვა;
- მიღებულ და გაანალიზებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული (რომლის 100%-იან წილსაც მართავს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) კერძო სამართლის იურიდიული პირების ბიზნეს-გეგმები;
- მიღებულ იქნა კერძო სამართლის იურიდიული პირების 2018 წლის წლიური ანგარიში „მოგება-ზარალის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით“. ანგარიშების შემოწმების შემდეგ დამუშავდა ძირითადი და დამხმარე ცხრილები:
    - კერო სამართლის იურიდიული პირების 2018 წლის წლიური ფინანსური მაჩვენებლები;
    - რენტაბელობის დონე 2018 წლის მდგომარეობით;
    - კერძო სამართლის იურიდიული პირების 2018-2017 წლების ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების შედარება;

- კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელფასო ფონდი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული (რომლის 100%-იან წილსაც მართავს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობროვო ეკონომიკის სამინისტრო) კერძო სამართლის იურიდიული პირების 2018 წლის ფინანსური შედეგების (მოგება-ზარალის) ანალიზი;
- გამოცხადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემული 7 ავტომანქანის აუქციონი. პირველადი აუქციონი განაცხადების არარსებობის გამო ჩაითვალა არშემდგარად, ხოლო განმეორებით აუქციონზე, სადაც ავტომანქანები გამოტანილი იყო 50%-იანი ფასდაკლებით, გაიყიდა 6 ავტომანქანა. გაყიდული მანქანებიდან ბიუჯეტში ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 26 200 ლარი;
- დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა ვაზიანის სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში მინი სამკერვალო ფაბრიკის ფუნქციონირებისათვის გაცემული ფართის საიჯარო ვალდებულებების შესრულებას; მზადდება საიჯარო დოკუმენტაცია ვაზიანის სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში მრავალპროფილური სოციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობის ელექტრონული ფორმით იჯარით გადასაცემად;
- დამუშავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული (რომლის 100%-იან წილსაც მართავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) კერძო სამართლის იურიდიული პირების 2019 წლის I ნახევრის ფინანსური ანგარიშები. ამ ფინანსური ანგარიშების საფუძველზე მომზადდა 2019 წლის I ნახევრის ფინანსური შედეგების (მოგება-ზარალის) ანალიზი.

გეოლოგია

აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებულ იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- გაკეთდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მტკნარი, თერმული და მინერალური წყლების გეოლოგიურ-მინერაგენიული დახასიათება. განისაზღვრა მათი ეკონომიკური პოტენციალი;
- დაბა წყნეთში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლების ადგილებში ჩატარდა საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების მონიტორინგი და პრევენცია;
- შეფასდა დაბა წყნეთში, სოფ. ახალდაბის გზის პირას სახელმწიფოდან სასაფლაოსთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესები. აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდა

განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესების ვიზუალური შეფასება, რაზედაც მომზადდა შესაბამისი დასკვნა;

- შეიქმნა სოხუმის და სოხუმის რაიონის მტკნარი, თერმული და მინერალური წყლების ელექტრონული გეოინფორმაციული პაკეტები;
- მომზადდა ინფორმაცია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ;
- არასაბიუჯეტო შემოსავლის მიღების მიზნით კერძო პირთან გაფორმდა ხელშეკრულება (14.05.2019 წ) ქ. თბილისი - საკადასტრო კოდი 01.72.14.031./518 ფართობი 500 $მ^2$ ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადების მიზნით (ღირებულება 250 ლარი).

გარდა ამისა, გრძელდებოდა მუშაობა თემაზე ,,აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების ანალიზი“.

სისტემატურად ხორციელდებოდა:

- საინფორმაციო და სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების უკანონო მოპოვება-გატანის შესახებ;
- აფხაზეთის სანაპირო ზოლის ლითონდინამიკური მდგომარეობის მონიტორინგი თანამედროვე დისტანციური მეთოდებით;
- გეოლოგიურ ფონდებში არსებული აფხაზეთის გეოლოგიური ჰიდროგეოლოგიური მასალების მოძიება, სისტემატიზაცია, გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება და შესაბამისი ელექტრონული ვერსიების შექმნა.

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკონომიკის დარგების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, საჭირო სარემონტო სამუშაოების მოცულობის დადგენა და შესაბამისი დეფექტური აქტების, ტექნიკური დოკუმენტაციების შედგენა. დევნილებით ჩასახლებულ ობიექტებთან მინი მარკეტების საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პროექტების შედგენა.

2019 წლის 9 თვეში ჩატარდა საპროექტო სამუშაოები, შედგა დეფექტური აქტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვო შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ.N 42-ში მდებარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციის შენობის მე-5 სართული, რომლის ხარჯთაღრიცხვის ღირებულებაა 125 000 ლარი;
- ქ. თბილისში, მეველის ქ. N 19-ში მდებარე სამსართულიანი ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებისთვის მომზადდა საპროექტო (ესკიზური ნახაზები) და საორენტაციო ხარჯთაღრიცხვა;
- ქ. ზუგდიდში, შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით, შესწავლილ იქნა დევნილების კომპაქტურად ჩასახლებული 11 ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა, რომელთაგან პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ 3 ობიექტს:
  - ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის #222-ში მდებარე 3-სართულიანი პროფ. სასწავლებელი, სადაც გასარემონტებელია თუნუქის სახურავი თავისი წყალსაწრეტი მილებით და ძაბრებით - 1300 კვ.მ;
  - ქ. ზუგდიდის რაიონი, სოფ. ჭითაწყარი, ელექტროქსელის ორსართულიანი შენობის დემონტაჟი და ახალი სახურავის მოწყობა -290 კვ. მ;
  - ქ. ზუგდიდი, სოფ ჭითაწყარი, ხუბულავას ქ.14-ში მდებარე ვეტ.ლაბორატორიის 1-სართულიანი შენობა, სადაც შესაცვლელია სახურავი 400 კვ.მ. და დასამონტაჟებელია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები 47 კვ.მ.

  სამივე ობიექტის ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის ჯამურმა თანხამ შეადგინა 68 464 ლარი.

- ქ. თელავი, გვარდიის დასახლება, სოხუმის ქ. 4-ში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კორპუსში გაკეთდა სახურავის მოწყობა 2 ფენა ლინოკრომითა და პარაპეტის დაფარვა მოთუთიებული თუნუქით 873 კვ.მ.-ზე. სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 35 469 ლარი;
- ქ. თბილისი, ქერჩის ქ.6-ში აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური ჩასახლება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუბეროიდით გადახურული არსებული სახურავის 380 კვ.მ.-ის რემონტი შეერთების ადგილებში და 6,45 კვ.მ. მეტალო-პლასტმასის ფანჯრების გამოცვლა, რომლის სრულმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 4 854 ლარი;
- ქ. თბილისი,დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქ.40-ში „ირმის ნახტომის“ ამხანაგობა. ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 2 677 ლარი;
- ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ., კორპუს 34-ში ამხანაგობა „იმედის“ შენობის გამაგრების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 18 422 ლარი;

- ქ. ხაშური, ყოფილი 64-ე პროფსასწავლებელი, დევნილთა საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ობიექტის ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 10 723 ლარი;
- 2019 წლის ივნისში დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ იმერეთის რეგიონში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ქ. ქუთაისში, ხონში და ქობულეთში დევნილთა ჩასახლების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით. შემოწმდა 10 ობიექტი.

ხარჯთაღრიცხვები შედგენილია შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. ქობულეთი, 9 აპრილის ქუჩა 109 (ყოფილი მე-7 სკოლა) - ხარჯთაღრიცხვა 5 814 ლარი;
- ქ. ქობულეთი, დ. ჩაქვი (ყოფილი სკოლის შენობა), კორპუსი 1 - ხარჯთაღრიცხვა 15 992 ლარი;
- ხონი, სამხედრო დასახლება, კორპუსი 7 - ხარჯთაღრიცხვა 18 788 ლარი;
- ქ. ქუთაისი, ნიკიას ქ. 21, ყოფილი აისი -1 ის შენობა- ხარჯთაღრიცხვა 7 330 ლარი.

სულ იმერეთისა რეგიონსა და აჭარაში ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 47 924 ლარი.

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოცხო-ეწერში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილთა კოლექტიურ ცენტრში:
  - სახურავის მოწყობა - 26 434 ლარი .
  - წყლის საქაჩი ტუმბოს რემონტი - 6 954 ლარი.
  - წყლის საზაფხულო ავზი - 7 256 ლარი.
  - საზაფხულო შხაპის მოწყობა - 2 502 ლარი.
  - ლითონის ღობის მოწყობა - 7 779 ლარი.
  - ტერიტორიისა და ხეივნის გამწვანება - 8 120 ლარი.

სულ 2019 წლის 9 თვეში დამზადდა სულ 391 573 ლარის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ეფექტურობა - დეფექტურ აქტებში ჩამოთვლილი სამუშაოების ეკონომიურობა, ფუნქციონალური მიზანშეწონილობის დადგენის შემდეგ მათი დაკონკრეტება-დახარისხება და შედეგად მხოლოდ აუცილებელი და ეკონომიკურად გამართლებული მოცულობების დადგენა და რეალიზება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2019 წლის 9 თვეში შეადგინა სულ 12 084,59 (მ.შ. IIIკვარტალში - 4 217,89 ათასი ლარი), რაც გეგმის (11 515,52 ათასი ლარი) 104,94%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

- საშემოსავლო გადასახადი – 5 789,93 ათასი ლარი. გეგმა (5 290,52 ათასი ლარი) შესრულდა 109,4%;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 6 000,0 ათასი ლარი. გეგმა (6 000,0 ათასი ლარი) შესრულდა 100%-ით;
- სხვა შემოსავლები – 278,43 ათასი ლარი, რამაც გეგმის (225,0 ათასი ლარი) 123,75% შეადგინა.

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 49,6 და 47,9 პროცენტს შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 97,6 პროცენტია, ანუ დანარჩენ შემოსავლებზე მოდის მხოლოდ 2,4 პროცენტი.

დიაგრამა №7: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2019/9 თვე



დიაგრამა №8: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2019/9თვე-2018/9თვე პერიოდში



დიაგრამა №9: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2019/9თვე-2018/9თვე



2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 417,5 ათასი ლარით, ანუ 3,6%-ით.
- საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 483,44 ათასი ლარით ანუ 9,1 %-ით;
- ტრანსფერი შემცირდა 42 ათასი ლარით ანუ 0,7%-ით;
- სხვა შემოსავლები შემცირდა 24,27 ათასი ლარით ანუ 8 %-ით.

2019 წლის 9 თვეში გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 793,45 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 12 074,60 ლარი ანუ გეგმის 87,5%.

დიაგრამა № 10: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2019/ 9 თვე-2018/9 თვე



ცხრილი №2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2019/9 თვე

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი გადასახდელებთან %
გადასახდელები – სულ მ.შ.	**13793,45**	**12074,60**	**87,5**	**-1718,9**	**100,0**
შრომის ანაზღაურება	6053,22	5780,08	95,5	-273,1	47,9
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	1103,07	975,06	88,4	-128,0	8,1
მივლინებები	157,45	119,93	76,2	-37,5	1,0
ოფისის ხარჯები	554,95	369,87	66,6	-185,1	3,1
წარმომადგენლობითი ხარჯები	28,35	17,87	63,0	-10,5	0,1
სამედიცინო ხარჯები	0,60	0,17	28,3	-0,43	
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	4,40	3,56	80,9	-0,84	0,03
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	364,13	305,48	83,9	-58,7	2,5
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	236,83	163,28	68,9	-73,6	1,4
სუბსიდია	2402,66	2228,51	92,8	-174,2	18,5
გრანტები	28,76	28,76	100,0	0,0	0,2
სოციალური უზრუნველყოფა	1631,70	1501,95	92,0	-129,8	12,4
სხვა ხარჯები	438,34	186,66	42,6	-251,7	1,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	788,94	393,37	49,9	-395,6	3,3